

საერთო თემა:
ყოველსომეცხელი, ვრცელი ქრისტე ცვლის კულტურას
ერთი ახალი კაცისათვის

შეტყობინება მეხუთე

ვიცხოვროთ ერთი ახალი კაცის ცხოვრებით, და არა ჩვენი კულტურით, ვისწავლოთ ქრისტე იმის თანახმად, როგორცაა სინამდვილე იესოში

ადგილები წერილიდან: ეფეს. 4:20-21; მათე 11:28-30; 14:19; იოანე 5:19, 30; 7:18; 10:30

- I. ჩვენი ცხოვრების წესის სტანდარტი უნდა შეესაბამებოდეს არა ჩვენს კულტურას, არამედ სინამდვილეს იესოში, სინამდვილეს, რომელსაც ავლენდა უფალი იესო, როდესაც ცხოვრობდა დედამიწაზე – ეფეს. 4:20-21:
- ა. როგორც უფალი იესო ცხოვრობდა დედამიწაზე, ასე უნდა იცხოვროს დღეს ერთმა ახალმა კაცმა – მათე 11:28-30; იოანე 6:57; 4:34; 5:17, 19, 30; 6:38; 17:4.
 - ბ. „ის, თუ როგორია სინამდვილე იესოში“ (ეფეს. 4:21) – ეს არის ის, როგორც იყო სინამდვილეში იესოს ცხოვრება, აღწერილი ოთხ სახარებაში; იესო ცხოვრობდა ცხოვრებით, რომელშიც ის ყველაფერს აკეთებდა ღმერთში, ღმერთთან ერთად და ღმერთისათვის; მისი ცხოვრების წესში იყო ღმერთი, და ის ერთი იყო ღმერთთან.
 - გ. იესო ისე ცხოვრობდა, რომ ეს ყოველთვის შეესაბამებოდა ღმერთის სამართლიანობასა და სიწმიდეს; იესოს ცხოვრებაში ყოველთვის ვლინდებოდა სინამდვილის სამართლიანობა და სიწმიდე – მუხ. 24:
 - 1. იესოს ადამიანური ცხოვრება შეესაბამებოდა სინამდვილეს, ანუ თვით ღმერთს, ვინაიდან ის საგსე იყო სამართლიანობითა და სიწმიდით.
 - 2. ახალი კაცი შეიქმნა ამ სინამდვილის სამართლიანობასა და სიწმიდეში, ანუ ღმერთში, რომელიც განდიდებული და გამოხატულია.
 - დ. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქრისტე და უნდა ვისწავლოთ მასში ის, თუ როგორც უნდა ვიცხოვროთ სინამდვილის ცხოვრებით; ვისწავლოთ ქრისტე, ნიშნავს, რომ უბრალოდ მოვთავსდეთ „ფორმაში“, რომელიც არის ქრისტეს ნიშნა, ანუ უნდა დავემსგავსოთ ქრისტეს სახებას – მუხ. 20-21; რომ. 8:28-29; 2 იოანე 1; იოანე 4:23-24.
 - ე. როგორც ერთობლივმა პიროვნებამ, ახალმა კაცმა, უნდა იცხოვროს სინამდვილის ცხოვრებით იმის თანახმად, როგორც არის სინამდვილე იესოში, – ცხოვრებით, რომელიც გამოხატავს ღმერთს.
 - ვ. თუ ჩვენ ვიცხოვრებთ ჩვენი გონების სულის თანახმად, ჩვენ გვექნება ყოველდღიური ცხოვრება ერთობლივი ახალი კაცისა – ცხოვრება, რომელიც შეესაბამება სინამდვილეს იესოში – ეფეს. 4:23.
- II. ერთი ახალი კაცის ცხოვრების წესი უნდა იყოს ზუსტად ისეთივე, როგორცაა იესოს ცხოვრების წესი; ერთი ახალი კაცისათვის, როგორც ერთობლივი ღმერთკაცისათვის, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ღმერთკაცის

ცხოვრებით – ფილიპ. 1:19-21ა; 3:10; ეფეს. 4:20-21; შდრ. 1 იოანე 4:17 და შენიშვნა 5:

ა. ქრისტეს ადამიანური ცხოვრება იყო ის, რომ ადამიანი ცხოვრობდა ღმერთს, იმის მეშვეობით, რომ გამოხატავდა ღმერთის თვისებებს ადამიანურ სათნოებებში; მისი ადამიანური სათნოებები სავსე იყო ღვთაებრივი თვისებებით, შერწყმული იყო მათთან და გაუღწეოთილი იყო მათით – ლუკა 1:26-35; 7:11-17; 10:25-37; 19:1-10:

1. როდესაც უფალი იესო იყო დედამიწაზე, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ადამიანი, ის ცხოვრობდა ღმერთით – იოანე 6:57; 5:19, 30; 6:38; 8:28; 7:16-17.
2. უფალი იესო ცხოვრობდა ღმერთს და გამოხატავდა ღმერთს ყველაფერში; როდესაც ის აკეთებდა რამეს, ამას აკეთებდა ღმერთი მისგან და მისი მეშვეობით – 14:10.
3. მარკოზის სახარებაში ნახვენებია, რომ სიცოცხლე, რომლითაც ცხოვრობდა უფალი იესო, აბსოლუტურად შეესაბამებოდა და მიძღვნილი იყო ღმერთის ახალადტქმისეული სახლმშენებლობისათვის.

ბ. როგორც პირველი ღმერთკაცის გაფართოებამ, გადიდებამ, კვლავწარმოქმნამ და გაგრძელებამ, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ისეთივე ცხოვრებით, როგორითაც ცხოვრობდა ის – 1 იოანე 2:6:

1. უფლის ღმერთკაცისეულმა ცხოვრებამ დაადგინა ნიმუში ჩვენი ღმერთკაცისეული ცხოვრებისათვის – ვიყოთ ჯვარცმული, რათა ვიცხოვროთ იმისათვის, რომ ღმერთი გამოიხატოს ადამიანობაში – გალ. 2:20.
2. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ საკუთარ თავზე, უნდა დავემსგავსოთ ქრისტეს სიკვდილს და უნდა განვადიდოთ ის მისი სულის უხვი შეწვევის მეშვეობით – მათე 16:24; ფილიპ. 3:10; 1:19-21ა.
3. ჩვენ უნდა უარვყოთ ჩვენი „მეს“ განვითარება და მსჯავრი უნდა დავდოთ ბუნებრივი კაცის აშენებას; ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ქრისტიანული სათნოებები არსებითად არის დაკავშირებული ღვთაებრივ სიცოცხლესთან, ღვთაებრივ ბუნებასთან და თვით ღმერთთან – გალ. 5:22-23.
4. ის, ვინც ცხოვრობდა ღმერთკაცის ცხოვრებით, ახლა არის სული, რომელიც ცხოვრობს ჩვენში და ჩვენი მეშვეობით; ჩვენ არ უნდა მივცეთ არაფერს ნება უფლის გარდა, რომ აგვაგვსოს ჩვენ და დაგვეუფლოს ჩვენ – 2 კორ. 3:17; 13:5; ეფეს. 3:16-19.
5. ჩვენ უნდა გავუხსნათ უფალს მთელი ჩვენი არსება, რათა მივიღოთ (ჩვენს სულში და ლოცვის ატმოსფეროში) მისი დავალება, მოცემული ჩვენთვის, ლუკას 6:36-ში: „იყავით მოწყალე, როგორიც თქვენი მამაა მოწყალე“; ჩვენ უნდა შევეხოთ უფალს როგორც მას, ვინც სავსეა მოწყალებით, ყოველ დილით – გოდ. 3:22-23; რომ. 9:15 და შენიშვნა 2; გამ. 34:6; ფსალ. 103:8; ლუკა 1:78-79; 10:25-37; რომ. 12:1.

III. ხუთი ათასი კაცის ხუთი პურითა და ორი თევზით დაპურების სასწაულის მეშვეობით უფალი ასწავლიდა თავის მოწაფეებს, რომ მათ ესწავლათ მისგან – მათე 14:14-21; 11:28-30:

- ა. მათეს 14:19-ში ნათქვამია, რომ უფალმა აიღო ხუთი პური და ორი თევზი, და როდესაც დააპირა, რომ ეკურთხებინა ისინი, ცას ახედა;
1. გამოთქმა „ცას ახედა“ ნიშნავს, რომ მან მზერა მიაპყრო თავის სათავეს, თავის მამას ზეცაში:
 - ა) აქედან ჩანს, რომ ის აცნობიერებდა, რომ კურთხევის სათავე არ იყო ის; კურთხევის სათავე უნდა იყოს არა წარმომავალი, არამედ მამა, როგორც წარმომავალი – შდრ. რომ. 11:36.
 - ბ) მიუხედავად იმისა, რამდენის გაკეთება შეგვიძლია ან რამდენად კარგად ვიცით, თუ რა უნდა გავაკეთოთ, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ გვჭირდება, რომ წარმომავალმა აკურთხოს ჩვენი საქმეები, რათა ჩვენ ვიყოთ შეწევნის არხები, დაიმედებული ვიყოთ მასზე, და არა საკუთარ თავზე – შდრ. მათე 14:19ბ; რიცხ. 6:22-27.
 2. ის, რომ მან მზერა მიაპყრო ზეცაში მყოფი მამისკენ, ნიშნავს, რომ როგორც დედამიწაზე მყოფი ძე, ზეცაში მყოფი მამის მიერ წარმომავალი, ის ერთი იყო მამასთან და დაიმედებული იყო მამაზე – იოანე 10:30:
 - ა) იმას, რაც ჩვენ ვიცით, და რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს; გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენს მსახურებაში აქვს იმას, რომ ჩვენ ერთი ვართ უფალთან და დაიმედებული ვართ მასზე – შდრ. 1 კორ. 2:3-4.
 - ბ) კურთხევა მოდის მხოლოდ იმის შედეგად, რომ ჩვენ ერთი ვართ უფალთან და დაიმედებული ვართ მასზე – შდრ. 2 კორ. 1:8-9.
 3. უფალი არაფერს არ აკეთებდა თავისი თავისგან – იოანე 5:19; შდრ. მათე 16:24:
 - ა) ჩვენ უნდა უარყოთ ჩვენი თავი, და ჩვენ არ უნდა გვქონდეს განზრახვა, რომ რაღაც გავაკეთოთ ჩვენი თავისგან – ჩვენ უნდა გვქონდეს განზრახვა, რომ ყველაფერი გავაკეთოთ უფლისგან.
 - ბ) ჩვენ გამუდმებით უნდა ვავარჯიშოთ ჩვენი სული, რათა უარყოთ ჩვენი „მე“ და ვიცხოვროთ სხვა სიცოცხლის მეშვეობით, იესო ქრისტეს სულის უხვი შეწევნის წყალობით – ფილიპ. 1:19-21ა.
 4. უფალი ეძებდა არა თავის ნებას, არამედ მისი წარმომავალის ნებას – იოანე 5:30ბ; 6:38; მათე 26:39, 42:
 - ა) უფალი უარყოფდა თავის აზრს, თავის განზრახვასა და თავის მიზანს.
 - ბ) ჩვენ ყველანი ფრთხილად უნდა ვიყოთ ერთ რაღაცასთან დაკავშირებით: როდესაც ჩვენ გვგზავნიან რაღაც სამუშაოს შესასრულებლად, ჩვენ არ უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა იმისათვის, რომ მივადწიოთ ჩვენს მიზანს; ჩვენ უნდა წავიდეთ, რათა მივადწიოთ მხოლოდ ჩვენი წარმომავალი უფლის აზრების, მიზნის, ჩანაფიქრის, ამოცანისა და განზრახვის აღსრულებას – შდრ. 1 ტიმ. 5:2ბ.

5. უფალი ეძებდა არა საკუთარ დიდებას, არამედ მისი წარმომგზავნელი მამის დიდებას – იოანეს 7:18; 5:41; შდრ. 12:43:
- ა) ვიყოთ პატივმოყვარეები – ნიშნავს, რომ ვეძებოთ საკუთარი დიდება – შდრ. 3 იოანე 9.
 - ბ) ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ჩვენი „მე“, ჩვენი მიზანი და ჩვენი პატივმოყვარეობა – არის სამი დამდუბველი „მატლი“ ჩვენს სამუშაოში; ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ შევიძულოთ ისინი.
- ბ. თუ ჩვენ გვინდა, რომ უფალმა ყოველთვის გამოგვიყენოს თავის აღდგენაში, უნდა უარვყოთ ჩვენი „მე“, უარი ვთქვათ ჩვენს მიზანზე და უარი ვთქვათ ჩვენს პატივმოყვარეობაზე ერთი ახალი კაცის გულისთვის – მათე 16:24.